RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

# რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკის თავისებურებები: უკრაინის ანექსია

ეკა ჯავახიშვილი

187

ექსპერტის აზრი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

# ექსპერტის აზრი

ეკა ჯავახიშვილი

## რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკის თავისებურებები: უკრაინის ანექსია

187

2022

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2022 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

**შესავალი**

უკრაინაში რუსეთის ფართომასშტაბიანი შეჭრიდან 6 თვის თავზე, უკრაინის არმიის შეუპოვარი წინააღმდეგობისა და დასავლეთის ერთსულოვანი მხარდაჭერის შედეგად, მოსკოვი იძულებული გახდა შეეცვალა სამხედრო ოპერაციის მიმდინარეობის გეგმა. სექტემბრის დასაწყისში უკრაინის არმია ძლიერ კონტრშეტევაზე გადავიდა და დროებით ოკუპირებული ტერიტორიების დიდ ნაწილზე კონტროლი დაიბრუნა. ამ ეტაპზე, რუსეთის საოკუპაციო ძალები არათუ წინსვლას ვეღარ ახერხებენ, არამედ ცდილობენ ის ტერიტორიები შეინარჩუნონ, რომელთა დაკავებაც ომის დაწყებიდან დღემდე მოახერხეს. კონტრშეტევის შედეგად, უკრაინის არმიამ თითქმის სრულად გაათავისუფლა ხარკოვის ოლქი, ხოლო ხერსონის, ზაპოროჟიეს, დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონების მიმართულებით მძიმე ბრძოლები გრძელდება. აღსანიშნავია, რომ უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსეთის მიერ დაკავებული ტერიტორია (ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქები) ქმნის სახმელეთო დერეფანს, რომელიც რუსეთს უშუალოდ ყირიმის ნახევარკუნძულთან აკავშირებს, რომლის შენარჩუნებაც ამ ეტაპზე მოსკოვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

რუსეთის მიერ ოკუპირებული უკრაინის ტერიტორიები
20 სექტემბრის მდგომარეობით, 2022 წელი
Гомель
Homyel
Oryol Oblast
Курская область
Kursk Oblast
Воронеж
Voronezh
Старый Оскол
Stary Oskol
Белгородская область
Belgorod Oblast
Житомирська область
Zhytomyr Oblast
Київська область
Kyiv Oblast
Біла Церква
Bila Tserkva
Черкаси
Cherkasy
Полтавська область
Poltava Oblast
Харківська область
Kharkiv Oblast
Україна
Ukraine
Кременчук
Kremenchuk
Слов'янськ
Sloviansk
Луганська область
Luhansk Oblast
Алчевськ
Alchevsk
Кропивницький
Kropyvnytskyi
Дніпропетровська область
Dnipropetrovsk Oblast
Кривий Ріг
Kryvyi Rih
Нікополь
Nikopol
Миколаївська область
Mykolaiv Oblast
Запорізька область
Zaporizhia Oblast
Таганрог
Taganrog
Мариуполь
Mariupol
Одеська область
Odesa Oblast
Херсонська область
Kherson Oblast
Молдова
Chisinau
Автономна Республіка Крим
Autonomous Republic of Crimea
Керчь
Kerch
Краснодарский край
Krasnodar Krai
Севастополь
Sevastopol
Новороссийск
Novorossiysk
Галаці
Galati
Тулча
Tulcea
Брайла
Braila
Бельці
Balti
Васлуй
Vaslui
Бырлад
Barlad
Кахул
Cahul
Яссы
Iasi
Винницька область
Vinnytsia Oblast
Чернігівська область
Chernihiv Oblast
Сумська область
Sumy Oblast
Гомельская область
Homyel Region
Липецкая область
Lipetsk Oblast
Воронежская область
Voronezh Oblast
Донецька область
Donetsk Oblast
Майкоп
Maykop
Українська РСР
Ukrainian SSR
Українська РСР
Ukrainian SSR
Українська РСР
Ukrainian SSR

მას შემდეგ, რაც რუსეთის საოკუპაციო ძალებმა საომარი მოქმედებების გზით დაიკავეს სტრატეგიული რეგიონები, კრემლის დღის წესრიგში დადგა დაეწყოთ მიტაცებული ტერიტორიების რუსეთის ფედერაციასთან ინტეგრირების პროცესი. მოსკოვში არაერთხელ განაცხადეს, რომ რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მაცხოვრებლებს უფლება აქვთ თავად გადაწყვიტონ, სურთ თუ არა რუსეთის შემადგენლობაში შესვლა. დონეცკისა და ლუგანსკის „სახალხო რესპუბლიკებმა“, ისევე, როგორც ახლად ოკუპირებულმა ხერსონისა და ზაპოროჟიეს ე.წ. სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციებმა რუსეთის შემადგენლობაში შესვლის მიზნით „რეფერენდუმების“ ჩასატარებლად მზადება ჯერ კიდევ ზაფხულში დაიწყეს. თუმცა, უკრაინის სექტემბერში დაწყებული წარმატებული კონტრშეტევის ფონზე, კრემლის საოკუპაციო ღონისძიებები კიდევ უფრო დაჩქარდა.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის სამხედრო-ტექნიკური რესურსები „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ ფარგლებში თანდათან იწურება, კრემლი ქვეყნის მასშტაბით ნაწილობრივი სამხედრო მობილიზაციის გამოცხადების აუცილებლობის წინაშე დადგა. 21 სექტემბერს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაციის შესახებ. პრეზიდენტის განმარტებით, ეს გადაწყვეტილება რუსეთის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და რუსი ხალხის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიიღეს. მოსახლეობისადმი მიმართვაში პუტინმა მხარდაჭერა გამოუცხადა დონბასისა და „გათავისუფლებული ტერიტორიების“ მოსახლეობის გადაწყვეტილებას, გამართონ რეფერენდუმები რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე.

დღეისათვის კრემლის მთავარი გამოწვევაა უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების რუსეთის ფედერაციაში შეყვანის ფორსირება. ამასთან, ჩნდება ლეგიტიმური კითხვები: როგორ აპირებს რუსეთი უკრაინის სუვერენული ტერიტორიის საკუთარ შემადგენლობაში შეყვანას და რა ღონისძიებებს მიმართავს ადგილზე ამ პროცესის მოსამზადებლად? გაიმეორებს „ყირიმის სცენარს“ თუ სიახლეს შეიტანს საოკუპაციო მეთოდოლოგიაში? რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ კრემლი ძირითადად „შაბლონურ“ მიდგომას იყენებს მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებს მიმართ, რაც გულისხმობს პირველ ეტაპზე სამხედრო ინტერვენციას, შემდეგ ანექსირებული ტერიტორიის „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ გამოცხადებას, მოგვიანებით კი, ფსევდორეფერენდუმის საფუძველზე, მათი რუსეთის ფედერაციაში ინტეგრირებას. ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ღონისძიებები კი ყველგან იდენტურია: პრორუსული მთავრობის შექმნა, პასპორტიზაცია, დეპორტაცია, მოსახლეობის ტოტალური კონტროლი, განათლების სისტემის რუსულ მოდელზე გადაყვანა და რუსიფიკაციის სხვა მცდელობები. ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ იმას, რასაც უკრაინის ანექსიის მიზნით რუსი ოკუპანტები დონეცკისა და ლუგანსკის, ასევე ხერსონისა და ზაპოროჟიეს რეგიონებში აკეთებენ.

**რუსეთის საოკუპაციო ღონისძიებები**

*ფსევდოჰეფეჰენდუმები*

საერთაშორისო საზოგადოება ხშირად განიხილავს რუსეთის მიერ უკრაინის ანექსირებული ტერიტორიების მიერთების ერთ-ერთ შესაძლებლობად „ყირიმის სცენარის“ გამეორებას. რას გულისხმობს ეს სცენარი? 2014 წლის თებერვალში რუსეთის საოკუპაციო ძალებმა დაიკავეს ყირიმის ნახევარკუნძული, რის შემდეგაც ხელისუფლება პრორუსულ მთავრობას გადაეცა. 11 მარტს ყირიმის უმაღლესმა და სევასტოპოლის საქალაქო საბჭოებმა „ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ სევასტოპოლის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ მიიღეს. 16 მარტს გამართულ რეფერენდუმზე მოსახლეობამ მხარი დაუჭირა უკრაინის შემადგენლობიდან გასვლას და ყირიმის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, ამავდროულად – რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ახალ სუბიექტად შესვლას „რესპუბლიკის“ სტატუსით. 17 მარტს, რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა რადამ ყირიმის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.[1] რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმაც იმავე დღეს აღიარა ყირიმის „დამოუკიდებლობა“,[2] 18 მარტს კი კრემლში რუსეთსა და ყირიმის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას შორის გაფორმდა შეთანხმება ყირიმის რუსეთთან შეერთების შესახებ.[3]

ყირიმის ანალოგიური პროცესები ვითარდება ოკუპირებულ დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებში, რომელთა „დამოუკიდებლობა“ უკვე აღიარა მოსკოვმა. აღსანიშნავია, რომ დონეცკისა და ლუგანსკის „სახალხო რესპუბლიკების“ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლაზე რუსულ პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ წრეებში დიდი ხანია მსჯელობენ. თუმცა, ყირიმის ანექსიის შემდეგ პუტინს არ უჩქარია იქ რეფერენდუმების ჩატარება. დონეცკისა და ლუგანსკის „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებიდან 8 წელი გავიდა და მხოლოდ ახლა დადგა ეს საკითხი კრემლის დღის წესრიგში.

სეპარატისტული რეგიონების შეერთების საკითხმა 2022 წლის 21 თებერვალს გაიჟღერა რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომაზე, როდესაც რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელს, სერგეი ნარიშკინს, უნებურად წამოსცდა, რომ ის მხარს უჭერს „დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების გაერთიანებას რუსეთის შემადგენლობაში“. მაშინ ნარიშკინს ვლადიმერ პუტინმა სიტყვა გააწყვეტინა და მიუთითა, რომ სხდომაზე ამ საკითხს არ განიხილავდნენ, რის შემდეგაც ნარიშკინმა ნათქვამი შეასწორა და მხარდაჭერა გამოუცხადა დონეცკისა და ლუგანსკის „სახალხო რესპუბლიკების“ დამოუკიდებლობის აღიარების ინიციატივას.

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ დონეცკისა და ლუგანსკის სეპარატისტულმა დე ფაქტო მმართველებმა განაცხადეს, რომ რუსეთთან მიერთების საკითხზე რეფერენდუმების ჩატარებას გეგმავენ, ოღონდ მას შემდეგ, რაც „ტერიტორიების გათავისუფლების პროცესი დასრულდება“.

კრემლი საოკუპაციო პოლიტიკის ზემოაღნიშნულ „თარგს“, დიდი ალბათობით, ახლად ანექსირებული ხერსონისა და ზაპოროჟიეს ე.წ. სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციებსაც მოარგებს. როგორც რუსეთის დუმის დეპუტატმა იგორ კასტიუკევიჩმა განაცხადა, „რუსეთის შემადგენლობაში ხერსონის შეყვანა იქნება სრულფასოვანი, ყირიმის ანალოგიით“.[4] მოსალოდნელია, რომ დაგეგმილი რეფერენდუმების საფუძველზე საოკუპაციო ძალები ამ ტერიტორიებს „დამოუკიდებლად“ გამოაცხადებენ, შემდეგ კი რუსეთის შემადგენლობაში შესვლას მოითხოვენ. ცნობისათვის, რუსეთის მოქმედი კანონმდებლობა ახალი სუბიექტის მიერთების პროცედურას მხოლოდ „უცხო სახელმწიფოსთან“ შეთანხმების გზით განიხილავს, შესაბამისად, ოკუპირებული ტერიტორიის „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ ცნობა საკვანძო მომენტია. რუსეთის კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ „რუსეთის ფედერაციაში უცხო სახელმწიფოს ახალ სუბიექტად ან მის ნაწილად მიღება რუსეთის ფედერაციისა და ამ უცხო სახელმწიფოს ურთიერთშეთანხმებით ხდება, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ახალი სუბიექტის მიღების შესახებ საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი) შეთანხმების შესაბამისად, რომელიც დადებულია რუსეთის ფედერაციასა და ამ უცხო სახელმწიფოს შორის“.[5] ამასთან, რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის წინადადების ინიციატორი უნდა იყოს დაინტერესებული უცხო სახელმწიფო.[6] ვინაიდან რუსეთის კანონმდებლობა ჯერ არ შეცვლილა, ამიტომ უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების მიერთების პროცედურა ვერ დაირღვევა – ჯერ უნდა მოხდეს აღნიშნული ე.წ. სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციების „დამოუკიდებლად“ გამოცხადება, შემდეგ რუსეთის მიერ მათი აღიარება და რუსეთთან შეერთების პროცესის დაწყება.

იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ამ რეგიონების კონტროლი საკმაოდ მყიფე და არასტაბილურია, პუტინი ჩქარობს მაქსიმალურად სწრაფად მოახდინოს მათი უკანონო „ლეგიტიმაცია“. თანაც, ეს პროცესი უნდა დაასრულოს მანამ, სანამ დასავლეთისგან უკრაინის სამხედრო დახმარება კიდევ უფრო გაძლიერდება, კერძოდ, სანამ აშშ-სთან გაფორმებული „ლენდ-ლიზის“ პროგრამა ამოქმედდება.

აღსანიშნავია, რომ კრემლმა უკრაინის სამხრეთ რეგიონების დაპყრობის გეგმა თავიდანვე არასწორად გათვალა. მოსკოვი მოელოდა, რომ დონბასის რეგიონს მთლიანად და ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქებს სწრაფად დაიკავებდა და ზაფხულის პერიოდში რეფერენდუმებს გამართავდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, რუსეთის არმიამ ვერ შეძლო ამოცანის შესრულება და რეფერენდუმის დათქმულმა თარიღმა 11 სექტემბრისთვის გადაიწია. უკრაინის კონტრშეტევითი ოპერაციის ფონზე, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები გამო სეპარატისტები იძულებული გახდნენ, სექტემბერში ჩანიშნული ფსევდორეფერენდუმები, ლოზუნგით „რუსეთთან ერთად“, კიდევ ერთხელ გადაედოთ. 19 სექტემბერს ცნობილი გახდა, რომ დონეცკის, ლუგანსკის, ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქების ოკუპირებულ ტერიტორიებზე „რეფერენდუმების“ დაუყოვნებლივ ჩატარების თარიღად 23-27 სექტემბერი განისაზღვრა.

*ვინ ახის ოკუპირებული ტერიტორიების ინტეგრაციაზე პასუხისმგებელი?*

კრემლმა უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების კურატორად ჯერ კიდევ აპრილში პუტინის ნდობით აღჭურვილი პირი, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილე სერგეი კირიენკო დანიშნა. იგი უკრაინის სამხრეთ რეგიონების ხშირი სტუმარია და ადგილზე ადევნებს თვალს რუსული საოკუპაციო პოლიტიკის განხორციელებას. კირიენკო დონეცკისა და ლუგანკის, ასევე ხერსონისა და ზაპოროჟიეს რეგიონებში ვიზიტების დროს მუდმივად იმეორებს მთავარ მესიჯს, რომ ისინი უნდა მოემზადონ რუსეთთან შესაერთებლად.

სერგეი კირიენკო კრემლის კარზე ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა, რომელსაც ვლადიმერ პუტინმა ოკუპირებული ტერიტორიების რუსეთთან ინტეგრირების საპასუხისმგებლო მისია მიანდო. კირიენკო მიეკუთვნება ტექნოკრატების ელიტას, რომელთაც კონკრეტული პოლიტიკური მისია აქვთ და სწორედ ისინი წარმოადგენენ პუტინის რეჟიმის მთავარ საყრდენს. ამ წრეში შემავალი ბევრი ტექნოკრატის კარიერა ბორის ელცინის პრეზიდენტობის დროს დაიწყო, თუმცა სერიოზულ წარმატებებს მათ პუტინის პრეზიდენტობისას მიაღწიეს. კირიენკო ისევე, როგორც სხვა ტექნოკრატები, თავდაპირველად არ მიეკუთვნებოდა პუტინის უახლოეს წრეს, მაგრამ პრეზიდენტის განსაკუთრებული ნდობა კონკრეტულ ვითარებაში დაიმსახურა. კირიენკოსთვის ეს მომენტი აღმოჩნდა უკრაინასთან ომი, როდესაც კრემლის შიდაპოლიტიკური ბლოკის ხელმძღვანელმა პრეზიდენტ პუტინთან დაახლოება და საკუთარი უფლებამოსილების გაფართოებაც წარმატებით მოახერხა.[7] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო დროს სერგეი კირიენკოს სულ უფრო ხშირად ასახელებენ პუტინის „მემკვიდრეების“ სიაში ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად.

სერგეი კირიენკოს კარიერა 1990 წლებში დაიწყო, როდესაც იგი ჯერ რუსეთის ნავთობისა და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის, ხოლო შემდეგ მინისტრის პოსტს იკავებდა. 1998 წელს, ბორის ელცინის პრეზიდენტობის დროს, მას რამდენიმე თვის მანძილზე პრემიერის პოსტიც ეკავა. 2005 წლიდან იგი სახელმწიფო კორპორაცია „როსატომს“ ჩაუდგა სათავეში, 2016 წლიდან კი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილის პოსტზეა.

უკრაინასთან ომის დაწყებამდე კირიენკოს პასუხისმგებლობის სფერო განისაზღვრებოდა წმინდად საშინაო-პოლიტიკური საკითხებით (საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, პარტიები, რეიტინგები, ახალგაზრდული მოძრაობები და ა.შ.). უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ კი მას დაეკისრა როგორც დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. „სახალხო რესპუბლიკების“, ისე ხერსონისა და ზაპოროჟიეს მიტაცებული რეგიონების ზედამხედველობა და მათი რუსეთთან ინტეგრაციის საკითხების უზრუნველყოფა. ფსევდორეფერენდუმების გამართვაში კირიენკოს წამყვან როლზე ლაპარაკობენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაც ვარაუდობენ, რომ რუსეთმა ხერსონში, ზაპოროჟიეში, ე.წ. „დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებში“ და ხარკოვის ნაწილებში ყალბი რეფერენდუმები, შესაძლოა, უახლოეს კვირებში მოაწყოს, რასაც უშუალოდ კირიენკო

უხელმძღვანელებს.[8] კირიენკოსთვის ამ როლის მინიჭება იმის მანიშნებელია, რომ პუტინი აღმოსავლეთ უკრაინაში ოკუპირებულ მიწებს უკვე რუსეთის საკუთრებად და „შიდა საქმედ“ განიხილავს.

*პროხუსული ადმინისტრაციების შექმნა*

კრემლი ფსევდორეფერენდუმების ჩატარების გარეშეც შეუდგა უკრაინის ოკუპირებული მიწების რუსეთთან ინტეგრირებას. საოკუპაციო ძალების სრული ძალისხმევა მიმართული  იყო ადგილზე რუსული მართვის სისტემის დანერგვასა და არალეგიტიმური ადმინისტრაციული სტრუქტურების შექმნაზე. დონბასისგან განსხვავებით, ახლად ოკუპირებულ ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქებში ანტირუსული განწყობები საკმაოდ ძლიერია და რუს ოკუპანტებთან ნებაყოფლობითი თანამშრომლობის მასშტაბები კი - შედარებით დაბალი. ადგილობრივ პრორუსულ პოლიტიკურ ძალებს არ შეუძლიათ დაარწმუნონ საზოგადოება, მიიღონ „ახალი ხელისუფლება“ და ამასთან, ისინი ნდობით და პატივისცემითაც არ სარგებლობენ. შესაბამისად, რუსი სამხედრო მოსამსახურეები და სპეცსამსახურების წარმომადგენლები ადგილობრივ მმართველობით საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

მოსახლეობის წინააღმდეგობრივი განწყობის გათვალისწინებით, მოსკოვს უჭირს ადგილობრივი სანდო კადრების შერჩევა, რის გამოც ე.წ. სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციულ ერთეულებში საჯარო მოხელეების რუსეთიდან გაგზავნა უწევს. ხერსონის ოლქის მიტაცების შემდეგ პრორუსული „მთავრობის კაბინეტის მეთაურად“ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ყოფილი თანამშრომელი სერგეი ელისეევი დაინიშნა, ხოლო მის მოადგილეებად - რუსი მაღალჩინოსნები.[9] ანალოგიურად, ზაპოროჟიეს ოლქის ე.წ. სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციის მმართველი გუნდიც რუსული კადრებით და პრორუსი კოლაბორაციონისტებით კომპლექტდება.

აღსანიშნავია, რომ სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციებში ჯერ სრულად არ არის ჩამოყალიბებული „ძალაუფლების ვერტიკალი“ ოლქებისა და ქალაქების დონეზე (რეგიონული ცენტრების ქვემოთ), რაც ოკუპანტებს ვითარებას ურთულებს. რუსულ ოკუპაციას ადგილობრივი დივერსიული ჯგუფების აქტიურობაც უშლის ხელს, რომლებიც ოკუპანტთა სამხედრო ინფრასტრუქტურას და მიტაცებულ ობიექტებს პერიოდულად ანადგურებენ.

*მოსახლეობის კონტროლი*

ივლისში რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხერსონისა და ზაპოროჟიეს რეგიონებში „რუსეთის ფედერაციის შსს-ის დროებითი სამმართველოების“ შესაქმნელად ოფიცრები მიავლინა. მათ დაევალათ ე.წ. სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციებს დაქვემდებარებული ადგილობრივი პოლიციის ქვედანაყოფების მხარდაჭერა. რუსეთის შსს-ის პერსონალი უშუალოდ არის ჩართული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და „ექსტრემიზმის გამოვლინებებთან ბრძოლაში“.[10] რუსული სპეცსამსახურები ანტირუსული

შეხედულებების მქონე პირების იდენტიფიცირებას და მოსახლეობის მკაცრ კონტროლს ახორციელებენ. მათ, ვინც უარს იტყვის რუსეთთან თანამშრომლობაზე და გამოირჩევიან რუსების მიუღებლობით, უბლოკავენ ფინანსურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობას, ხელს უშლიან  დასაქმებაში, აპატიმრებენ სავარაუდო სამხედრო დანაშაულებში მონაწილეობის ბრალდებით და დეპორტაციასაც უკეთებენ.

*უკრაინელების დეპორტაცია*

15 ივლისს ხერსონისა და ზაპორიჟიეს სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციებმა გამოსცეს „განკარგულებები“, რომ „ექსტრემისტული ქმედებები“ დაისაჯოს იძულებითი დეპორტაციით. გადაწყვეტილებას, რომელიც 24 საათის განმავლობაში აღსრულდება, იღებს რუსი სამხედრო კომენდანტი. „ექსტრემისტული ქმედებები“ გულისხმობს: სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციის მუშაობისთვის ხელის შეშლას, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოებისა და შეიარაღებული ძალების დისკრედიტაციას, სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციების ნებართვის გარეშე საჯარო შეხვედრების ჩატარებას, ექსტრემისტული მასალების გამოქვეყნებას და ა.შ. [11]

უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიებიდან ადგილობრივი მოსახლეობის რუსეთში დეპორტაცია ჰუმანიტარული ზომების საფარქვეშაც მიმდინარეობს. ე.წ. „ფილტრაციის ბანაკებიდან“ დეპორტირებულები იგზავნებიან რუსეთის 48 რეგიონში მდებარე 9500 დროებით საცხოვრებელ პუნქტებში (განსახლების ძირითადი მიმართულებები მოიცავს შიდა რეგიონებს, როგორიცაა ბურიატია, ზაბაიკალსკის მხარე, პრიმორსკის მხარე, ხაბაროვსკის მხარე და სხვა). არაოფიციალური ინფორმაციით, დეპორტირებულს სახლში დაბრუნების ნებართვა მხოლოდ მაშინ ეძლევა, თუ ის ხელს მოაწერს განცხადებას, რომ დაიცავს რუსეთის მიერ ადგილზე შემოღებულ წესებს.[12]

უკრაინული მხარის მონაცემებით, ქვეყანაში რუსეთის შეჭრის შემდეგ დაახლოებით 1,2 მილიონზე მეტი ადამიანი იქნა დეპორტირებული მიტაცებული ტერიტორიებიდან, მათ შორის - 200 000-ზე მეტი ბავშვი. რუსული სტატისტიკის თანახმად კი, 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ რუსეთში 1,55 მილიონზე მეტი ადამიანი „ჩავიდა“ უკრაინიდან. იძულებითი დეპორტაცია ემსახურება პროუკრაინული შეხედულებების მქონე პირების რუსეთის ტერიტორიაზე განსახლებას და მათ უშუალო კონტროლს, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ანტირუსული განწყობების აღკვეთას ოკუპირებულ რეგიონებში, ასევე, რუსეთში სამუშაო ძალის პოტენციალის გაზრდას და დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

2022 წლის 30 მაისს ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა უკრაინელი ობლებისა და მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების პროცედურის გამარტივების განკარგულებას.[13] ამან ხელი შეუწყო უკრაინელი ბავშვების რუსეთის გაშვილებას და პოტენციური რუსი აღმზრდელების მიერ უკრაინელი ბავშვების შვილად აყვანის პროცესის დაჩქარებას.

*პასპორტიზაცია*

ანექსიისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია რუსული პასპორტიზაციის პროცესის დაჩქარება და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების პროცედურის გამარტივება. ადგილობრივ მოსახლეობას აიძულებენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად მიიღონ რუსეთის მოქალაქეობა, რუსული სოციალური დახმარებების მიღების მოტივით. 2022 წლის მაისში, ვლადიმერ პუტინის განკარგულებით, როგორც დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების, ისე ზაპოროჟიესა და ხერსონის ოლქების მაცხოვრებლებისთვის  რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცედურები გამარტივდა. ვლადიმერ პუტინის 11 ივლისის განკარგულებით კი, რუსეთის მოქალაქეობის დაჩქარებული პროცედურით მოთხოვნის უფლება მთლიანად უკრაინის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ უკრაინის მოქალაქეებსაც მიენიჭათ.[14] აღსანიშნავია, რომ დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ „სახალხო რესპუბლიკებში“ რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე 860 000 პირს უკვე ჰქონდა რუსული პასპორტი მიღებული.

პასპორტიზაციის დასაჩქარებლად 11 ივნისს რუსეთმა უკრაინის ახლად ოკუპირებულ რეგიონებში სამოქალაქო რეესტრის რამდენიმე ოფისი გახსნა. თუმცა, რუსული პასპორტის მსურველთა რაოდენობა დიდი არ აღმოჩნდა, მიუხედავად ფინანსური წახალისებისა, რომელიც თან ახლავს პასპორტიზაციას. რუსი ოკუპანტები 10 000 რუბლს (165 აშშ დოლარი) სთავაზობენ რუსული პასპორტის მიღების მსურველს, მიუხედავად ასაკისა. არსებული მონაცემებით, 15 აგვისტომდე, ზაპოროჟიეს რეგიონში რუსული პასპორტის 30 ათასი მსურველი დარეგისტრირდა,[15] ხერსონის რეგიონში კი  – 12 ათასი.[16]

გარდა ამისა, რუსეთის შსს-ს სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ინსპექციამ ხერსონისა და ზაპოროჟიეს რეგიონებში მართვის მოწმობებისა და სანომრე ნიშნების ხელახალი რეგისტრაციის პროცესი დაიწყო. რუსეთის მოქალაქეობის მფლობელებს რუსული მართვის მოწმობები და ავტომობილის სანომრე ნიშნები უპრობლემოდ ეძლევათ, დანარჩენებისთვის კი დროებითი დოკუმენტაცია გაიცემა, ყოველგვარი უკრაინული მარკირების გარეშე. დროებითი ავტორიზაციის ვადის ამოწურვის შემდეგ ადგილობრივი მძღოლები იძულებული გახდებიან, რომ  რუსული დოკუმენტები აიღონ.[17]

*ხუსული განათლების სისტემის დანეიგვა*

უკრაინის ანექსირებულ ოლქებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების სისტემის პრორუსულ მოდელზე გადაწყობას. უკრაინელ მასწავლებლებს მიეცათ არჩევანი – ან უარი ეთქვათ უკრაინულ სასწავლო გეგმაზე, ან დაეტოვებინათ სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი. მოსკოვში შეიმუშავეს ახალი სასკოლო პროგრამა ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომელიც რუსეთის ისტორიის პოპულარიზაციას ემსახურება. პროგრამის ავტორები ავითარებენ ანტიფაშისტურ შეხედულებებს და კიევის მოქმედი ხელისუფლების „ფაშისტურ“ ბუნებაზე აკეთებენ აქცენტს, ასევე აღნიშნავენ, რომ ეს ტერიტორიები

წარსულში რუსეთის იმპერიას (ხერსონისა და ტაურიდას გუბერნიები) ეკუთვნოდა. გარდა ამისა, „განათლების ხარისხის გაუმჯობესების“ მიზნით, ცალკეული რუსული უნივერსიტეტები „ზედამხედველობას“ იღებენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდებარე უნივერსიტეტებზე.

*ხეკონსტრუქციის გეგმა*

რუსული საოკუპაციო ღონისძიებები ოკუპირებული ტერიტორიების ომის შემდგომი რეკონსტრუქციის გეგმებსაც ეხება. რუსეთის სახელმწიფო დუმის საბიუჯეტო კომიტეტის წარმომადგენლების შეფასებით, ამ ტერიტორიების აღსადგენად დაახლოებით 1,5 ტრლნ. რუბლი (24 მლრდ. აშშ დოლარი) იქნება საჭირო, ეს თანხები კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კერძო ინვესტიციებით იქნება. 2022 წლის მაისის ბოლოს რუსეთის ვიცე-პრემიერმა მარატ ხუსნულინმა განაცხადა, რომ მთავრობამ შექმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, „გათავისუფლებული უკრაინის ტერიტორიების“ აღდგენის გეგმაზე სამუშაოდ. რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილის, სერგეი კირიენკოს მიერ შემუშავებული „მფარველობის“ პროექტით კი რუსეთის რეგიონები ჩაერთვებიან უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებისა და მუნიციპალიტეტების რეკონსტრუქციაში.[18] „მფარველობა“ გულისხმობს ქალაქების აღდგენისთვის საჭირო ფინანსურ დახმარებას და ასევე საკადრო უზრუნველყოფას რეგიონალური ან მუნიციპალური ადმინისტრაციებისთვის. გეგმის მიხედვით, მოსკოვის ოლქი აღადგენს „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის“ ტელმანოვსკის და ნოვოაზოვსკის რაიონებს, სანქტ-პეტერბურგი - მარიუპოლს და ა.შ. ამ პროექტის მიზანია შექმნას მოლოდინი, რომ რუსეთის ფედერაცია სრულად ჩაერთვება ე.წ. „გათავისუფლებული ტერიტორიების“ ომის შემდგომ რეკონსტრუქციაში.

*ხუსიფიკაციის სხვა ღონისძიებები*

უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების რუსიფიკაციის ღონისძიებები ასევე მოიცავს „რუბლის ზონის“ შექმნას და უკრაინული გრივნის მიმოქცევიდან ამოღებას, მოსკოვის დროის დაწესებას, საინფორმაციო სივრცის კონტროლს და რუსული სატელეკომუნიკაციო სერვისების დანერგვას, უკრაინის სატელეფონო კოდის შეცვლას რუსეთის სატელეფონო კოდით (+7), საჯარო სივრციდან უკრაინული აბრების რუსულით ჩანაცვლებას და სხვა.

**დასკვნა**

რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკის ძირითადი თავისებურებები ამ დრომდე მის მიერ ოკუპირებულ თითქმის ყველა ტერიტორიასთან მიმართებით მსგავსია. შესაბამისად, პროცესებზე დაკვირვება გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ რუსეთი ოკუპირებული დონეცკის, ლუგანსკის, ხერსონისა და ზაპოროჟიეს რეგიონების მიმართ „ყირიმის სცენარის“ გამეორებას გეგმავს.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან თუ გავავლებთ პარალელს, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კრემლის მიერ გადადგმული ნაბიჯებიც უკრაინის იდენტურია. რუსული ანექსიის შაბლონური გზა – საომარი მოქმედებების შედეგად ტერიტორიის დაკავება, პრორუსი მმართველობის დანიშვნა მიტაცებულ მიწებზე, თვითგამოცხადებული რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარება – საქართველომ უკვე გაიარა ორივე ოკუპირებულ ტერიტორიაზე. დარჩა შემდეგი სვლა – ფსევდორეფერენდუმის ჩატარება და რუსეთის შემადგენლობაში შესვლა, რაზეც საუბარი ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა. უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, 2022 წლის ზაფხულში, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონშიც ემზადებოდნენ რეფერენდუმის ჩასატარებლად, თუმცა ჩანიშნული თარიღი გაუქმდა. როგორც ჩანს, მოსკოვი ამ საკითხს ჯერჯერობით ღიად ტოვებს, თუმცა მოსალოდნელია, რომ მას სასურველ დროს პოლიტიკური ვაჭრობის საგნად და საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის აუცილებლად გამოიყენებს.

უკრაინაში ომის დაწყებიდან ნახევარი წლის შემდეგ სამხედრო ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რუსეთს არ ეყოფა სამხედრო და ფინანსური რესურსი პუტინის ამბიციური გეოპოლიტიკური გეგმების განსახორციელებლად. თუმცა, როგორც ჩანს, კრემლს არ სურს რაციონალური არგუმენტების გაზიარება. მიიტაცა რა უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, რუსეთი ცდილობს წარმატებულად წარმოაჩინოს „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“, რომლის ფარგლებშიც მოსკოვმა იზრუნა კიევის ხელისუფლებისგან „დაჩაგრულ“ პრორუს მოსახლეობაზე. პუტინი ავითარებს ნარატივს, რომ მას „ისტორიული მისიის – რუსული მიწების გაერთიანების“ პროცესი აკისრია და როგორც თავად ამტკიცებს, „უკრაინას საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბებამდე არასოდეს ჰქონია სახელმწიფოებრიობა“.[19] თუ ყირიმის მიერთებას ფართო იდეოლოგიური კამპანია უძღოდა წინ, ახლა პრეზიდენტი პუტინი ცდილობს, უბრალოდ სწრაფად შეაგროვოს ყოფილი საბჭოთა კავშირის მიწები.

მოსალოდნელია, რომ უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების უკანონო შეერთება რუსეთთან შეზღუდავს სამშვიდობო მოლაპარაკებების გზით მათი დაბრუნების პერსპექტივას, რადგან კრემლი მათ რუსეთის ტერიტორიის დე იურე ნაწილად განიხილავს.

თავის მხრივ, უკრაინის ხელისუფლება გამორიცხავს მოსკოვთან მოლაპარაკებების ყველა შესაძლებლობას, თუ რუსეთის ფედერაცია უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფსევდორეფერენდუმებს ჩაატარებს. საბოლოოდ კი, დროებით ოკუპირებული ტერიტორიების მომავალ საზღვრებს ომის შედეგები განსაზღვრავს.

## შენიშვნები


1. "Государственный Совет Республики Крым," *crimea.gov.ru,* March 17, 2014, http://crimea.gov.ru/act/11748.

2. "Владимир Путин признал Крым независимым государством," *BBC News Русская служба,* March 17, 2014, https://www.bbc.com/russian/russia/2014/03/140317_putin_crimea_independence_decree.

3. "Подписан Договор О Принятии Республики Крым В Российскую Федерацию," Президент России, March 18, 2014, http://kremlin.ru/events/president/news/20604.

4. "Человек Кириенко' Возглавил 'правительство ДНР'. К Чему Бы это?," *BBC News Русская служба,* June 7, 2022, https://www.bbc.com/russian/news-61743682.

5. "Статья 4. Условия принятия в Российскую Федерацию нового субъекта," КонсультантПлюс, n.d. http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_34452/e0162340496fee7f37bc2075865f9faefa616c1e/#dst100021.

6. "Статья 6. Предложение о принятии в Российскую Федерацию," КонсультантПлюс, n.d. http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_34452/3467f5d197be2780298d5ee66b18f6866028361b/.

7. Татьяна Становая, "Пять Путинских Элит На Фоне Транзита," *Carnegie Endowment for International Peace,* February 27, 2020, https://carnegiemoscow.org/2020/02/27/ru-pub-81158.

8. "Department Press Briefing," *U.S. Department of State,* August 30, 2022, https://www.state.gov/briefings/department-press-briefing-august-30-2022/.

9. "Главой Пророссийского Кабмина Херсонской Области Стал Бывший Сотрудник ФСБ," *RTVI.com*, July 4, 2022, https://rtvi.com/news/glavoj-prorossijskogo-kabmina-hersonskoj-oblasti-stal-byvshij-sotrudnik-fsb/.

10. "МВД РФ Сообщило О Создании Временных Управлений В Херсонской И Запорожской Областях," *Interfax*, July 28, 2022, https://www.interfax.ru/world/854311.

11. "Экстремистов Будут Выдворять Из Херсонской И Запорожской Областей В Течение Суток," *Interfax*, July 15, 2022. https://www.interfax.ru/world/852415.

12. Piotr Żochowski, Nieczypor Krzysztof, "Creeping Annexation. Russia's Plans to Partition Ukraine," *Centre for Eastern Studies (OSW),* June 28, 2022. https://www.osw.waw.pl/en/publikacje/osw-commentary/2022-06-28/a-creeping-annexation-russias-plans-to-partition-ukraine.

13. Валентина Егорова, "Путин Подписал Указ Об Упрощенном Гражданстве РФ Для Сирот Из Донбасса," Российская газета, May 30, 2022. https://rg.ru/2022/05/30/putin-podpisal-ukaz-ob-uproshchennom-grazhdanstve-rf-dlia-sirot-iz-donbassa.html.

14. "Путин упростил получение гражданства для украинцев," Ведомости, July 11, 2022, https://www.vedomosti.ru/society/news/2022/07/11/930796-putin-uproschennom-prinyatii-grazhdanstvo.

15. "Over 30,000 People in Zaporozhye Region Apply for Russian Passports — Authorities," *TASS*, August 15, 2022, https://tass.com/society/1493697.

16. "Over 12,000 People Apply for Russian Passports in Kherson Region — Official," *TASS*, August 15, 2022, https://tass.com/politics/1493447.

17. Иван Петров, "Жители Запорожской И Херсонской Областей Смогут Получить Российские Водительские Права," Российская газета, August 8, 2022, https://rg.ru/2022/08/08/zhiteli-zaporozhskoj-i-hersonskoj-oblastej-smogut-poluchit-rossijskie-voditelskie-prava.html.

18. Елена Мухаметшина, Максим Иванов, “Кремль Поручил Регионам Взять Шефство Над Территориями ДНР И ЛНР,” Ведомости, May 20, 2022, https://www.vedomosti.ru/politics/articles/2022/05/19/922804-shefstvo-territoriyami-dnr-lnr.

19. “Путин Назвал Целью Спецоперации Ликвидацию Антироссийского Анклава На Украине,” *Interfax*, September 1, 2022, https://www.interfax.ru/russia/860317.

## ბიბლიოგრაფია


- “Государственный Совет Республики Крым.” *Crimea.gov.ru.* March 17, 2014. http://crimea.gov.ru/act/11748.
- “Владимир Путин признал Крым независимым государством.” *BBC News Русская служба*. March 17, 2014. https://www.bbc.com/russian/russia/2014/03/140317_putin_crimea_independence_decree.
- “Подписан Договор О Принятии Республики Крым В Российскую Федерацию.” Президент России. March 18, 2014. http://kremlin.ru/events/president/news/20604.
- “‘Человек Кириенко’ Возглавил ‘правительство ДНР’. К Чему Бы это?” *BBC News Русская Служба.* June 7, 2022. https://www.bbc.com/russian/news-61743682.
- “Статья 4. Условия принятия в Российскую Федерацию нового субъекта.” КонсультантПлюс. Accessed September 3, 2022. http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_34452/e0162340496fee7f37bc2075865f9faefa616c1e/#dst100021.
- “Статья 6. Предложение о принятии в Российскую Федерацию.” КонсультантПлюс. Accessed September 3, 2022. http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_34452/3467f5d197be2780298d5ee66b18f6866028361b/.
- “Department Press Briefing - August 30, 2022.” *U.S. Department of State.* August 30, 2022. https://www.state.gov/briefings/department-press-briefing-august-30-2022/.
- Становая, Татьяна. “Пять Путинских Элит На Фоне Транзита.” *Carnegie Endowment for International Peace.* February 27, 2020. https://carnegiemoscow.org/2020/02/27/ru-pub-81158.
- “Главой Пророссийского Кабмина Херсонской Области Стал Бывший Сотрудник ФСБ.” *RTVI.com*. July 4, 2022. https://rtvi.com/news/glavoj-prorossijskogo-kabmina-hersonskoj-oblasti-stal-byvshij-sotrudnik-fsb/.
- “МВД РФ Сообщило О Создании Временных Управлений В Херсонской И Запорожской Областях.” *Interfax.ru*. July 28, 2022. https://www.interfax.ru/world/854311.
- “Экстремистов Будут Выдворять Из Херсонской И Запорожской Областей В Течение Суток.” *Interfax.ru.* July 15, 2022. https://www.interfax.ru/world/852415.
- Żochowski, Piotr, and Krzysztof Nieczypor. “A Creeping Annexation. Russia’s Plans to Partition Ukraine.” *Centre for Eastern Studies (OSW).* June 28, 2022. https://www.osw.waw.pl/en/publikacje/osw-commentary/2022-06-28/a-creeping-annexation-russias-plans-to-partition-ukraine.
- Егорова, Валентина. “Путин Подписал Указ Об Упрощенном Гражданстве РФ Для Сирот Из Донбасса.” Российская Газета. May 30, 2022. https://rg.ru/2022/05/30/putin-podpisal-ukaz-ob-uproshchennom-grazhdanstve-rf-dlia-sirot-iz-donbassa.html.
- “Путин упростил получение гражданства для украинцев.” Ведомости. July 11, 2022. https://www.vedomosti.ru/society/news/2022/07/11/930796-putin-uproschennom-prinyatii-grazhdanstvo.

- “Over 30,000 People in Zaporozhye Region Apply for Russian Passports — Authorities.” *Tass.ru*. August 15, 2022. https://tass.com/society/1493697.
- “Over 12,000 People Apply for Russian Passports in Kherson Region — Official.” *Tass.ru*. August 15, 2022. https://tass.com/politics/1493447.
- Петров, Иван. “Жители Запорожской И Херсонской Областей Смогут Получить Российские Водительские Права.” Российская Газета. August 8, 2022. https://rg.ru/2022/08/08/zhiteli-zaporozhskoj-i-hersonskoj-oblastej-smogut-poluchit-rossijskie-voditelskie-prava.html.
- Мухаметшина, Елена, and Максим Иванов. “Кремль Поручил Регионам Взять Шефство Над Территориями ДНР И ЛНР.” Ведомости. May 20, 2022. https://www.vedomosti.ru/politics/articles/2022/05/19/922804-shefstvo-territoriyami-dnr-lnr.
- “Путин Назвал Целью Спецоперации Ликвидацию Антироссийского Анклава На Украине.” *Interfax.ru*. September 1, 2022. https://www.interfax.ru/russia/860317.
- Kirillova, Kseniya. “New Concept of ‘Russian Sovereignty’ Is Inextricably Linked to the War.” *Jamestown*. August 15, 2022. https://jamestown.org/program/new-concept-of-russian-sovereignty-is-inextricably-linked-to-the-war/.
- Pertsev, Andrey. “If It Has to Be Postponed, It’s the Military’s Fault.” *Meduza*. August 18, 2022. https://meduza.io/en/feature/2022/08/18/if-it-has-to-be-postponed-it-s-the-military-s-fault.
- Перцев, Андрей. “Вице-король Донбасса.” *Meduza*. June 8, 2022. https://meduza.io/feature/2022/06/08/vitse-korol-donbassa.
- Portnikov, Vitaly. “The Illusion of Legality in Russia’s Illegal Occupations.” *Visegrad Insight*. August 18, 2022. https://visegradinsight.eu/russia-ukraine-illegal-occupation/.
- Socor, Vladimir. “Russia Defers ‘Referendums’ in Southern Ukraine for More Careful Preparation.” *Jamestown*. August 19, 2022. https://jamestown.org/program/russia-defers-referendums-in-southern-ukraine-for-more-careful-preparation/.